



ა(ა)იპ საქართველოს არბიტრაჟის ასოციაციის AD HOC საარბიტრაჟო
წესები



გამოყენების მიზანი და სარგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე საარბიტრაჟო წესები შემუშავებულია ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მიერ „I ეროვნული შეჯიბრში კომერციულ არბიტრაჟში“ მიზნებისთვის შეჯიბრში მონაწილე გუნდების მიერ წერილობითი წარდგინებების და ზეპირ გამოსვლებში პოზიციების მომზადების პროცესში გამოსაყენებლად, ისევე როგორც გუნდების შესაფასებლად შექმნილი იმიტირებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრების მიერ გამოსაყენებლად.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული საარბიტრაჟო წესები არ წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებულ საარბიტრაჟო წესებს და ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია ამ ეტაპზე არ განახორციელებს წესებში მითითებულ ფუნქციებს.

ნებისმიერი პირი, იქნება ეს შეჯიბრში მონაწილე სტუდენტი, მწვრთნელი, დახმარე, უნივერსიტეტი თუ იმიტირებულ საარბიტრაჟო ტრიბუნალში დანიშნული არბიტრი, რომელიც გაეცნობა წინამდებარე დოკუმენტს, ვალდებულია, დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შეჯიბრის მიზნებისთვის.

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 1

მუხლი 1. მოქმედების ფარგლები.....1

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება1

მუხლი 3. შეტყობინებები და კომუნიკაცია მხარეებთან.....2

მუხლი 4. ვადები3

მუხლი 5. მხარეთა წარმომადგენლობა.....3

მუხლი 6. დამნიშნავი ორგანო3

მუხლი 7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა4

მუხლი 8. კონფიდენციალურობა4

თავი II. საარბიტრაჟო წარმოების დაწყება და ტრიბუნალის ფორმირება 5

მუხლი 9. მოსარჩელის შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყებასა და არბიტრთა დანიშნაზე.....5

მუხლი 10. მოპასუხის პასუხი საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაზე6

მუხლი 11. არბიტრთა რაოდენობა6

მუხლი 12. არბიტრების დანიშნა.....6

მუხლი 13. არბიტრების დანიშნა მრავალმხარიან არბიტრაჟში8

მუხლი 14. არბიტრის აცილება8

მუხლი 15. არბიტრის შეცვლა9

მუხლი 16. არბიტრაჟის კომპეტენცია9

თავი III. საარბიტრაჟო პროცესი..... 11

მუხლი 17. საარბიტრაჟო პროცესის ორგანიზება.....11

მუხლი 18. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი11

მუხლი 19. საარბიტრაჟო წარმოების ენა11

მუხლი 20. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა12

მუხლი 21. საარბიტრაჟო სარჩელი12

მუხლი 22. საარბიტრაჟო შესაგებელი13

მუხლი 23. უარი შეპასუხებაზე13

მუხლი 24. საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის წარუდგენლობა.....13

მუხლი 25. მტკიცებულებები14

მუხლი 26. ზეპირი მოსმენა.....15

მუხლი 27. დამატებითი წარდგინებები	15
მუხლი 28. ექსპერტის დანიშვნა და აცილება	15
მუხლი 29. უზრუნველყოფის დონისძიებები	16
მუხლი 30. საარბიტრაჟო განხილვის დასრულება.....	17
თავი IV. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება	18
მუხლი 31. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება	18
მუხლი 32. გამოსაყენებელი სამართალი.....	18
მუხლი 33. მხარეთა მორიგება და საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის სხვა საფუძვლები	19
მუხლი 34. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.....	19
თავი V. ხარჯები	21
მუხლი 35. საარბიტრაჟო ხარჯების განსაზღვრა	21
დანართები	22
დანართი 1. დისტანციური წარმოების წესები	22
დანართი 2. სტანდარტული საარბიტრაჟო შეთანხმება (დანართი)	22
დანართი 3. ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“, როგორც დამნიშნავი ორგანოს მომსახურების ტარიფები.....	22

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების ფარგლები

1. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, გადაწყდება არბიტრაჟის გზით ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ *ad hoc* საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ეს წესები ჩაითვლება მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილად და ასეთი დავა განხილულ უნდა იქნას და გადაწყდეს წინამდებარე წესების შესაბამისად, მხარეების მიერ წესებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.
2. წინამდებარე წესებსა და საარბიტრაჟო წარმოებაზე გამოსაყენებელი სამართლის იმპერატიულ ნორმებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გამოსაყენებელი სამართლის იმპერატიულ ნორმებს.
3. წინამდებარე წესების შესაბამისად შემდგარ საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრებზე გავრცელდება ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი და დებულება არბიტრთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ.
4. ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“ არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე წესების გამოყენების, ინტერპრეტაციის თუ მისით ნებისმიერი ფორმით ხელმძღვანელობის შედეგად ნებისმიერ ზიანზე თუ ზარალზე ნებისმიერი პირის წინაშე, მათ შორის საარბიტრაჟო წარმოების მხარეების და არბიტრების წინაშე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
2. მხარე - საარბიტრაჟო მოსარჩელე ან საარბიტრაჟო მოპასუხე;
3. მხარეები - საარბიტრაჟო მოსარჩელე და საარბიტრაჟო მოპასუხე ერთობლივად;
4. ტრიბუნალი - ამ წესების შესაბამისად საარბიტრაჟო საქმის განსახილველად დანიშნული ერთი ან რამდენიმე არბიტრი.
5. ელექტრონული შეტყობინება - ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც მხარეები გადასცემენ საინფორმაციო შეტყობინების სახით. საინფორმაციო შეტყობინება არის ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია, გაგზავნილია, მიღებულია ან შენახულია ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებით, მათ შორის, მონაცემთა ელექტრონული გადაცემით, ელექტრონული ფოსტით, ტელეგრამით, ტელექსით ან ტელეფაქსით.

6. დამნიშნავი ორგანო - წესების მე-6 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია.

მუხლი 3. შეტყობინებები და კომუნიკაცია მხარეებთან

1. ნებისმიერი სახის შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს შეტყობინების მიწოდების / ჩაბარების ფაქტის დაფიქსირების შესაძლებლობას.
2. თუ მხარის ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულია კონკრეტული მისამართი მხარესთან კომუნიკაციის მიზნებისთვის, შეტყობინებები, მათ შორის ელექტრონული შეტყობინება, უნდა გაიგზავნოს აღნიშნულ მისამართზე.
3. იმ შემთხვევაში თუ მხარესთან საკომუნიკაციო მისამართი არ არის განსაზღვრული მხარის ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ, შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად:

3.1. ფიზიკური პირის შემთხვევაში, თუ ჩაბარდა:

- ა) ადრესატს პირადად;
- ბ) ამ პირის უფლებამოსილ ან კანონიერ წარმომადგენელს;
- გ) მის საცხოვრებელ ადგილზე ან ამ პირთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.
- დ) მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილზე კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს;

3.2. იურიდიული პირის შემთხვევაში:

- ა) პირის უფლებამოსილ ან კანონიერ წარმომადგენელს;
- ბ) სარეგისტრაციო დოკუმენტებით განსაზღვრულ იურიდიულ მისამართზე კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს;
- გ) სარეგისტრაციო დოკუმენტებით იურიდიულ მისამართად განსაზღვრულ საცხოვრებელ ბინაში მცხოვრებ ნებისმიერ სრულწლოვან პირს.

4. შეტყობინება ან კომუნიკაცია ჩაითვლება იმ დღეს ჩაბარებულად, როდესაც მხარემ ან მისმა წარმომადგენელმა მიიღო ის ან იმ დღეს, როდესაც უნდა მიეღო ის ამ მუხლის მეორე, მესამე ან მეოთხე პუნქტების შესაბამისად. ელექტრონული საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ითვლება მისი გაგზავნის დღეს, გარდა მოსარჩელის შეტყობინებისა საარბიტრაჟო წარმოების დაწყებასა და არბიტრთა დანიშვნაზე. აღნიშნული შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება ადრესატის ელექტრონულ მისამართზე მისვლის დღეს.

5. მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე მხარეებს და ტრიბუნალს საარბიტრაჟო განხილვის მსვლელობისას თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას შეტყობინება გაიგზავნება ტრიბუნალისთვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე.
6. ტრიბუნალისთვის შეტყობინების გაგზავნა უნდა განხორციელდეს ტრიბუნალის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ მისამართზე.

მუხლი 4. ვადები

ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული ან წინამდებარე წესებით დადგენილი ვადების ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც შეტყობინება ან კომუნიკაცია ჩაითვალია ჩაბარებულად. როდესაც, აღნიშნული რიცხვის მომდევნო დღე არის ოფიციალური დასვენების დღე, არასამუშაო ან უქმე დღე ადრესატის ადგილსამყოფელის ქვეყანაში, ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ასეთი დასვენების, არასამუშაო ან უქმე დღის მომდევნო სამუშაო დღიდან. ვადის გამოთვლისას ჩაითვლება ოფიციალური დასვენების დღეები, არასამუშაო და უქმე დღეები. თუ ვადის ბოლო დღე არის ოფიციალური დასვენების დღე / უქმე დღე / არასამუშაო დღე ადრესატის ადგილსამყოფელის ქვეყანაში, სადაც შეტყობინება ან კომუნიკაცია ჩაითვალია ჩაბარებულად, ვადა იწურება ასეთი დღის მომდევნო პირველი სამუშაო დღის დასრულებისას.

მუხლი 5. მხარეთა წარმომადგენლობა

საარბიტრაჟო წარმოებაში თითოეულ მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი. ამ პირთა სახელები და მისამართები უნდა ეცნობოს ყველა მხარეს და ტრიბუნალს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურება ფიზიკური პირის წარმომადგენლობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მინდობილობის საფუძველზე, რომელზეც მარწმუნებლის ხელმოწერა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით. იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია განხორციელდეს მინდობილობის საფუძველზე, რომელზეც მარწმუნებლის ხელმოწერა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით ან იურიდიული პირის ბლანკზე გაფორმებული მინდობილობით სანოტარო დამოწმების გარეშე.

მუხლი 6. დამნიშნავი ორგანო

1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წინამდებარე წესების მიზნებისთვის დამნიშნავ ორგანოს წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს

არბიტრთა ასოციაციის“ მმართველი საბჭო ან სხვა ორგანო, რომელსაც მმართველი საბჭო გადასცემს დამნიშნავი ორგანოს უფლებამოსილებას.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მიერ ამ წესებით განსაზღვრული დამნიშნავი ორგანოს ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ტარიფები და მათი გადახდის წესი განისაზღვრება წინამდებარე წესების დანართი 3-ით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

არბიტრები და მათ მიერ საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში დაქირავებული პირები არ არიან პასუხისმგებელი საარბიტრაჟო განხილვაში ან მასთან დაკავშირებით მათ მოქმედებაზე თუ უმოქმედობაზე ისევე როგორც დაშვებულ შეცდომებზე საარბიტრაჟო განხილვაზე მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეებმა, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, დამნიშნავმა პირმა და საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილე ყველა პირმა კონფიდენციალურად უნდა შეინახონ და არ გაამჟღავნონ ან არ დაუშვან გამჟღავნება იმ ინფორმაციის (მათ შორის, დავის არსებობის ფაქტის შესახებ) და დოკუმენტებისა, რომლებიც დაკავშირებულია ამ საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან (მათ შორის, თვითონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება).
2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება თუ კონფიდენციალური ინფორმაციის ან დოკუმენტის გამჟღავნება აუცილებელია მხარის მიერ საკუთარი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის, მათ შორის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების, გაუქმების ან არბიტრის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებისა და განხორციელების მიზნებისთვის.

თავი II. საარბიტრაჟო წარმოების დაწყება და ტრიბუნალის ფორმირება

მუხლი 9. მოსარჩელის შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყებასა და არბიტრთა დანიშვნაზე

1. მხარემ ან მხარეებმა, რომელსაც სურს დაიწყოს საარბიტრაჟო წარმოება (შემდგომში „მოსარჩელე“) უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს ან მხარეებს (შემდგომში „მოპასუხე“) შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ.
2. საარბიტრაჟო წარმოების დაწყების თარიღად ჩაითვლება მოპასუხისთვის საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შეტყობინების ჩაბარების დღე.
3. მოსარჩელის შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყებაზე უნდა შეიცავდეს:
 - ა) მოთხოვნას დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტაზე;
 - ბ) მხარეთა ვინაობას და მათ საკონტაქტო ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას წარმომადგენლის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.;
 - გ) საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელსაც ეყრდნობა მოსარჩელე;
 - დ) ხელშეკრულებას ან იმ სხვა დოკუმენტს, რომლიდანაც გამომდინარეობს ან რომელთანაც დაკავშირებულია წარმოშობილი დავა. ასეთი ხელშეკრულების ან დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მოკლე აღწერას;
 - ე) დავის საგნის მოკლე აღწერას და მოთხოვნის ოდენობას, თუ ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია;
 - ზ) მხარეთა შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, წინადადებას დასანიშნ არბიტრთა რაოდენობაზე, დავის განხილვის ენასა და საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე;
 - თ) მხარეთა შეთანხმების შესაბამისად მოსარჩელის მიერ დასანიშნი არბიტრის ვინაობას და მის საკონტაქტო ინფორმაციას და მოთხოვნას მოპასუხის მიერ არბიტრის დანიშვნის შესახებ; ხოლო თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს დავის განხილვას მხარეების მიერ ერთობლივად დანიშნული ერთი არბიტრის მიერ - მხარეების მიერ ერთობლივად დასანიშნი არბიტრის კანდიდატურის ან კანდიდატურების შეთავაზებას და მოთხოვნას კანდიდატის დადასტურებასა და არჩევაზე;
 - ი) სასარჩელო მოთხოვნას.

მუხლი 10. მოპასუხის პასუხი საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაზე

1. საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ მოსარჩელის შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში, მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა წარუდგინოს პასუხი საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შეტყობინებაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს:
 - ა) მოპასუხის ვინაობას და საკონტაქტო ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას წარმომადგენლის შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - ბ) მოპასუხის პოზიციას საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაში მოცემულ საკითხებზე.
 - გ) მხარეთა შეთანხმების შესაბამისად მოპასუხის მიერ დასანიშნი არბიტრის ვინაობას და მის საკონტაქტო ინფორმაციას, ორივე მხარის მიერ ერთობლივად დასანიშნი არბიტრის კანდიდატურას ან მოსარჩელის მიერ არბიტრის დანიშვნის მოთხოვნას.
2. პასუხი საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შეტყობინებაზე შესაძლოა, ასევე, მოიცავდეს:
 - ა) ნებისმიერ შედავებას ტრიბუნალის იურისდიქციასთან დაკავშირებით;
 - ბ) წინადადებას დასანიშნ არბიტრთა რაოდენობაზე, დავის განხილვის ენასა და საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში;
 - გ) შეგებებულ სარჩელს შეგებებული სარჩელის მოთხოვნების მითითებით;

მუხლი 11. არბიტრთა რაოდენობა

თუ მხარეები წინასწარ არ შეთანხმებულან არბიტრთა რაოდენობაზე და თუ მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ მოსარჩელის შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრთა რაოდენობაზე, დავას განხილავს სამი არბიტრისგან შემდგარი ტრიბუნალი.

მუხლი 12. არბიტრების დანიშვნა

1. თუ მხარეები შეთანხმებულნი არიან ერთი არბიტრის დანიშვნაზე და თუ საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მე-10 მუხლის შესაბამისად საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაზე პასუხის წარდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან დავის განმხილველი არბიტრის ვინაობაზე, არბიტრს დანიშნავს დამნიშნავი ორგანო.
2. როდესაც დავა უნდა განიხილოს ერთ არბიტრიანმა ტრიბუნალმა, დამნიშნავმა პირმა არბიტრი უნდა დანიშნოს რაც შეიძლება სწრაფად. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ ქვემოთ მოყვანილი პროცედურა არ უნდა იქნას გამოყენებული, ან თუ დამნიშნავი ორგანო საკუთარი დისკრეციის ფარგლებში დაადგენს, რომ პროცედურის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და/ან მიიღებს გადაწყვეტილებას

დანიშნვის ალტერნატიული პროცედურის განსაზღვრის შესახებ. დამნიშნავმა პირმა და მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პროცედურით:

ა) დამნიშნავი პირი თითოეულ მხარეს გადასცემს არბიტრების იდენტურ სიას, რომელიც შეიცავს მინიმუმ სამი კანდიდატის ვინაობას. როდესაც დამნიშნავი ორგანო არის ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“, მის მიერ არბიტრების კანდიდატების შეთავაზება მოხდება, ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ აკრედიტირებულ წევრთა სიიდან, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც დამნიშნავი ორგანო, ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი შეხედულებით მიიჩნევს, რომ აკრედიტირებული წევრებისგან სიის ფორმირება არ არის მიზანშეწონილი მხარეთა შეთანხმების ან საქმის გარემოებების გათვალისწინებით;

ბ) აღნიშნული სიის მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში თითოეული მხარე უფლებამოსილია დაუბრუნოს სია დამნიშნავ ორგანოს, სადაც გადახაზული იქნება არასასურველი კანდიდატები, ხოლო დარჩენილ კანდიდატებს პრიორიტეტების მიხედვით მიენიჭება ნუმერაცია;

გ) წინამდებარე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, დამნიშნავი ორგანო დანიშნავს არბიტრს მხარეების მიერ მისთვის მიწოდებულ სიებში მონიშნული კანდიდატებიდან მხარეების მიერ მითითებული პრიორიტეტების გათვალისწინებით;

დ) თუ რაიმე მიზეზით დანიშნვა შეუძლებელია წინამდებარე პროცედურის შესაბამისად, დამნიშნავი ორგანო უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დანიშნოს არბიტრი.

3. როდესაც დავა უნდა განიხილოს სამი არბიტრისგან შემდგარმა ტრიბუნალმა, თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს. მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრები ნიშნავენ მესამე არბიტრს, რომელიც იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე. საარბიტრაჟო მოსარჩელე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაში, ხოლო საარბიტრაჟო მოპასუხე – 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში თავის პასუხში საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაზე.

4. თუ საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში მოპასუხე მხარე ვერ ან არ დანიშნავს არბიტრს, ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, მოსარჩელე უფლებამოსილია, მიმართოს დამნიშნავ ორგანოს არბიტრის დანიშვნის მოთხოვნით.

5. თუ მეორე არბიტრის დანიშნიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრები ვერ ან არ დანიშნავენ ტრიბუნალის თავმჯდომარეს, მას დანიშნავს დამნიშნავი ორგანო.

6. როდესაც ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად დამნიშნავი ორგანო იქნება ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“, მის მიერ არბიტრის დანიშნვა მოხდება ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ აკრედიტირებულ წევრთა სიიდან გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც დამნიშნავი ორგანო მხარის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი შეხედულებისამებრ მიიჩნევს, რომ მისი აკრედიტირებული წევრებიდან არბიტრის დანიშვნა არ არის მიზანშეწონილი მხარეთა შეთანხმების ან საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 13. არბიტრების დანიშვნა მრავალმხარიან არბიტრაჟში

1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, როდესაც საარბიტრაჟო პროცესში რამდენიმე საარბიტრაჟო მოსარჩელე ან რამდენიმე საარბიტრაჟო მოპასუხე მონაწილეობს და დავა სამი არბიტრისგან შემდგარმა ტრიბუნალმა უნდა განიხილოს, რამდენიმე საარბიტრაჟო მოსარჩელე ერთობლივად და რამდენიმე საარბიტრაჟო მოპასუხე ერთობლივად ნიშნავენ თითო-თითო არბიტრს წესების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.
2. თუ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულია არბიტრთა რაოდენობის სხვა რიცხვი გარდა ერთისა ან სამისა, არბიტრი ინიშნება მხარეთა მიერ განსაზღვრული წესით.
3. მხარეთა შეთანხმების ან წინამდებარე წესების შესაბამისად საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დამნიშნავი პირი, ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, თავად აკომპლექტებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს. ასეთ შემთხვევაში არბიტრების შერჩევა მოხდება ამ წესების 12.6 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14. არბიტრის აცილება

1. მხარე უფლებამოსილია, დააყენოს არბიტრის აცილების მოთხოვნა თუ არსებობს გარემოება, რომელიც იწვევს საფუძვლიან ეჭვს არბიტრის მიუკერძოებლობასთან ან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.
2. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს მის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.
3. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ან უკვე დანიშნული არბიტრი ვალდებულია მისი დანიშნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და ტრიბუნალს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.
4. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია არბიტრის აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს ტრიბუნალს იმ დღიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შესახებ ან ამ წესებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. არბიტრის აცილების შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს არბიტრის აცილების მოთხოვნის საფუძველები.

5. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, გამოაცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე დაეთანხმება მის აცილებას, არბიტრის შეუწყდება უფლებამოსილება.
6. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ გამოაცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ დაეთანხმება მის აცილებას არბიტრის აცილების შესახებ განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, არბიტრის აცილების საკითხს გადაწყვეტს ტრიბუნალი ამ ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) დღეში. თუ ტრიბუნალი არ დააკმაყოფილებს მხარის მოთხოვნას არბიტრის აცილების შესახებ, მხარეს შეუძლია არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ ტრიბუნალის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.
7. ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ წესებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

მუხლი 15. არბიტრის შეცვლა

1. მხარეს არ აქვს უფლება, ერთპიროვნულად შეცვალოს მის მიერ დანიშნული არბიტრი.
2. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით.
3. არბიტრის შეცვლის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა იმ ეტაპიდან გრძელდება, რომელზედაც შეცვლილმა არბიტრმა შეწყვიტა საკუთარი ფუნქციების შესრულება თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ გადაწყვეტს სხვაგვარად.

მუხლი 16. არბიტრაჟის კომპეტენცია

1. ტრიბუნალი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.
2. განცხადება იმის შესახებ, რომ არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია, შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან

არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.

3. ტრიბუნალი საკუთარი კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, დადგენილების ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უმჯობესია საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად, ან როდესაც კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილების საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად გამოტანის შესახებ თანხმდებიან მხარეები.
4. არბიტრის სხვა არბიტრის ჩანაცვლების შემთხვევაში, საარბიტრაჟო წარმოება უნდა გაგრძელდეს იმ ეტაპიდან, სადაც ჩანაცვლებულმა არბიტრმა შეწყვიტა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს.

თავი III. საარბიტრაჟო პროცესი

მუხლი 17. საარბიტრაჟო პროცესის ორგანიზება

1. მხარეთა შეთანხმებისა და წინამდებარე წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო პროცესი ტრიბუნალმა უნდა წარმართოს თავისი შეხედულებისამებრ ყველა მხარისთვის საკუთარი პოზიციის წარმოდგენის სამართლიანი შესაძლებლობის მიცემით, პროცესის ეფექტიანი და ეკონომიური წარმართვისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით.
2. ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარეებს გარკვეული პროცედურული მოქმედებების შესასრულებლად დაუწესოს გონივრული ვადები და მიიღოს სხვა პროცედურული გადაწყვეტილებები საარბიტრაჟო პროცესის ორგანიზებულობის, ეფექტიანი მართვის და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან არიდების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 18. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

1. თუ მხარეთა შეთანხმებით საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არ არის განსაზღვრული, საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავს ტრიბუნალი საქმის გარემოებების გათვალისწინებით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილად მიიჩნევა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი.
2. ტრიბუნალი უფლებამოსილია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული განხილვებისთვის. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ტრიბუნალი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში მხარეების მონაწილეობით გასამართლი ნებისმიერი შეკრების/შეხვედრის, მათ შორის ზეპირი მოსმენის, ნებისმიერ ადგილზე და ფორმით გამართვის შესახებ.

მუხლი 19. საარბიტრაჟო წარმოების ენა

1. თუ მხარეთა შეთანხმებით არ არის განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის ენა, ტრიბუნალის ფორმირებამდე განხორციელებული ნებისმიერი შეტყობინება/კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს იმ ენაზე, რომელზეც არის გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმება. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალი დანიშნვიდან გონივრულ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო განხილვის ენის განსაზღვრის შესახებ.
2. საარბიტრაჟო განხილვის ენაზე უნდა შესრულდეს ნებისმიერი შეტყობინება, დოკუმენტი, რასაც მხარეები ან ტრიბუნალი განახორციელებენ/წარადგენენ საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში. საარბიტრაჟო განხილვის ენაზე უნდა

გაიმართოს ნებისმიერი შეკრება, შეხვედრა, ზეპირი მოსმენა და გამოვიდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

3. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი დოკუმენტი ან წერილობითი მტკიცებულება, რომელიც არ არის მომზადებული საარბიტრაჟო განხილვის ენაზე, წარდგენილი უნდა იქნას საარბიტრაჟო განხილვის ენაზე შესრულებულ და სანოტარო წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად.

მუხლი 20. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა

1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება გაიმართოს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილე პირთა ფიზიკური ან დისტანციური დასწრების ან კომუნიკაციის საშუალებებით.
2. თუ საარბიტრაჟო განხილვა უნდა გაიმართოს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით, წინამდებარე წესებით მიმდინარე საარბიტრაჟო წარმოებაში გამოსაყენებელი დამატებითი წესები და საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილე პირების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის დისტანციური საარბიტრაჟო წარმოების პროცედურით“, რომელიც თან ერთვის წინამდებარე წესებს (დანართი 1) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 21. საარბიტრაჟო სარჩელი

1. ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მოსარჩელემ ტრიბუნალს და მოპასუხეს უნდა მიაწოდოს საარბიტრაჟო სარჩელი. მოსარჩელე უფლებამოსილია წესების მე-9 მუხლით განსაზღვრული „მოსარჩელის შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყებასა და არბიტრთა დანიშვნაზე“ მიიჩნიოს საარბიტრაჟო სარჩელად ამის შესახებ ტრიბუნალისა და მოპასუხე მხარისთვის საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენისთვის განსაზღვრულ ვადაში შეტყობინების წარდგენით.
2. საარბიტრაჟო სარჩელი უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - ა) მხარეების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია;
 - ბ) დავის ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;
 - გ) მოთხოვნებს;
 - დ) მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს და მასთან დაკავშირებულ არგუმენტაციას .
3. შესაძლებლობის ფარგლებში, საარბიტრაჟო სარჩელს თან უნდა ერთვოდეს ყველა დოკუმენტი ან სხვა მტკიცებულება, რომელზეც მხარე აფუძნებს თავის მოთხოვნას

ან უნდა მოიცავდეს მითითებას დოკუმენტების და მტკიცებულებების შესახებ, რომელთა წარდგენასაც მხარე ვერ ახერხებს შესაბამისი მიზეზით.

მუხლი 22. საარბიტრაჟო შესაგებელი

1. ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მოპასუხემ ტრიბუნალს და მოსარჩელეს უნდა მიაწოდოს საარბიტრაჟო შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში დასმულ საკითხებზე. მოპასუხე უფლებამოსილია წესების მე-10 მუხლით განსაზღვრული „მოპასუხის პასუხი მოსარჩელის შეტყობინებაზე საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ“ მიიჩნიოს საარბიტრაჟო შესაგებლად ამის შესახებ ტრიბუნალისა და მოსარჩელე მხარისთვის საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენისთვის განსაზღვრულ ვადაში შეტყობინების წარდგენით.
2. შესაძლებლობის ფარგლებში, საარბიტრაჟო შესაგებელს თან უნდა ერთვოდეს ყველა დოკუმენტი ან სხვა მტკიცებულება, რომელზეც მხარე აფუძნებს თავის პოზიციას ან უნდა მოიცავდეს მითითებას დოკუმენტების და მტკიცებულებების შესახებ, რომელთა წარდგენასაც მხარე ვერ ახერხებს შესაბამისი მიზეზით.
3. შეგებებული სარჩელის წარდგენის სურვილის შემთხვევაში, მოპასუხემ შეგებებული სარჩელი უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენასთან ერთად საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენისთვის ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხე არ არის უფლებამოსილი წარადგინოს შეგებებული სარჩელი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტრიბუნალი, მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე, დაგვიანებას მიიჩნევს საპატიოდ საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 23. უარი შეპასუხებაზე

თუ ამ წესების რომელიმე პირობა ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე პირობა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ წესებით, მხარეთა შეთანხმებით ან ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში არ წარადგენს თავის შეპასუხებას, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

მუხლი 24. საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის წარუდგენლობა

1. საპატიო მიზეზის გარეშე საარბიტრაჟო სარჩელის ტრიბუნალის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე და ტრიბუნალი უფლებამოსილია შეწყვიტოს საარბიტრაჟო საქმის წარმოება.

2. საპატიო მიზეზის გარეშე საარბიტრაჟო შესაგებლის ტრიბუნალის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, ტრიბუნალი უფლებამოსილია გააგრძელოს საარბიტრაჟო საქმის განხილვა და მიიღოს გადაწყვეტილება.

მუხლი 25. მტკიცებულებები

1. თითოეულ მხარეს აკისრია იმ გარემოებების მტკიცების ტვირთი, რაზეც ის ამყარებს თავის სამართლებრივ პოზიციას.
2. ტრიბუნალი უფლებამოსილია განსაზღვროს მტკიცებულებების დასაშვებობის კრიტერიუმები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეული მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ.
3. ტრიბუნალისთვის არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალა.
4. ტრიბუნალი მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც ტრიბუნალს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.
5. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ტრიბუნალი უფლებამოსილია:
 - 5.1. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება;
 - 6.1. გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს;
 - 6.2. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.
6. მხარე უფლებამოსილია საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად მოითხოვოს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვა, რის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ტრიბუნალი. ტრიბუნალის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარემ უნდა უზრუნველყოს მოწმის ან ექსპერტის ჩვენების წერილობით მომზადება და მოწმის ან ექსპერტის მიერ ხელმოწერილი ჩვენების წარდგენა წინასწარ, ზეპირი მოსმენის თარიღამდე.
7. მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ტრიბუნალს ან მხარეს, ტრიბუნალის თანხმობით, შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული

მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს მხარეს (მხარეებს) ან არბიტრაჟს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მუხლი 26. ზეპირი მოსმენა

1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე ზეპირი მოსმენის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის ზეპირი მოსმენის გარეშე წარმართვის შესახებ. ერთ-ერთი მხარის მიერ ზეპირი მოსმენის დანიშვნის მოთხოვნის შემთხვევაში, ტრიბუნალი ვალდებულია დანიშნოს ზეპირი მოსმენა.
2. საქმეზე ზეპირი მოსმენის დანიშვნის შემთხვევაში, ზეპირი მოსმენის გამართვის დრო, ადგილი და ფორმა განისაზღვრება ტრიბუნალის გადაწყვეტილებით საქმის გარემოებების და მხარეთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 27. დამატებითი წარდგინებები

1. ზეპირი მოსმენის გამართვის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან, ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინონ ტრიბუნალს და ერთმანეთს ზეპირი მოსმენის შემდგომი წერილობითი წარდგინებები, რომელშიც არ დაიშვება ახალ ფაქტობრივ ან სამართლებრივ გარემოებებზე, ისევე როგორც დამატებით მტკიცებულებებზე მითითება.
2. მიუხედავად ზეპირი მოსმენის გამართვისა, ტრიბუნალი უფლებამოსილია, მხარეთა მოთხოვნის ან საქმის გარემოებების გათვალისწინებით, პროცესის ეფექტურობის პრინციპების დაცვით, მიიღოს გადაწყვეტილება მხარეებისთვის დამატებითი წერილობითი წარდგინებების უფლების მიცემის შესახებ, და განსაზღვროს ასეთი წარდგინებების ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

მუხლი 28. ექსპერტის დანიშვნა და აცილება

1. მხარეები უფლებამოსილნი არიან არბიტრაჟს წარუდგინონ ერთი ან რამდენიმე ექსპერტის დასკვნა საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოების დასამტკიცებლად. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, შეიძლება განხორციელდეს დანიშნული ექსპერტის დაკითხვა ზეპირ მოსმენაზე ექსპერტის დასკვნაში მოცემული გარემოებების შესახებ.
2. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, ტრიბუნალი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი საქმესთან დაკავშირებული

ნებისმიერი გარემოების შესახებ დასკვნის მისაღებად და განსაზღვროს ექსპერტის მიერ შესასწავლი საკითხების ჩამონათვალი, რომელიც უნდა გადაეცეს მხარეებს.

3. ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტი ვალდებულია, ექსპერტად დანიშვნის შესახებ თანხმობის გამოხატვასთან ერთად, ტრიბუნალს და მხარეებს წარუდგინოს განცხადება, რომლითაც ის ადასტურებს მის კვალიფიკაციას ექსპერტის დასკვნის მომზადების თაობაზე, ასევე მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. აღნიშნულ განცხადებაში ექსპერტი ვალდებულია მიუთითოს ნებისმიერ იმ გარემოებაზე რამაც შეიძლება გამოიწვიოს დასაბუთებული ექვი მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. განცხადების მიღების შემდეგ, ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ექსპერტის აცილება თუ ექსპერტი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით ან ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ კვალიფიკაციას ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ექვი ექსპერტის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. აცილების მოთხოვნის შემთხვევაში, ტრიბუნალი ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტის აცილების თაობაზე.
4. ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტი უფლებამოსილია, ტრიბუნალის თანხმობით, მხარეებს მოთხოვოს ექსპერტის დასკვნის მოსამზადებლად საჭირო ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია, ხოლო მხარეები ვალდებულნი არიან, შეასრულონ ექსპერტის ასეთი მოთხოვნა.
5. ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ დასკვნის მომზადების შემდეგ, ტრიბუნალი დასკვნას უგზავნის მხარეებს და აძლევს გონივრულ ვადას, რომ წერილობით დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები ექსპერტის დასკვნის შესახებ.
6. ნებისმიერი მხარის მოთხოვნით ან ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, შეიძლება განხორციელდეს ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტის დაკითხვა ზეპირ მოსმენაზე ექსპერტის დასკვნაში მოცემული გარემოებების შესახებ.

მუხლი 29. უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს ტრიბუნალს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ.
2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობას ტრიბუნალი განიხილავს მოპასუხისთვის შეტყობინების გარეშე მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის წარდგენიდან 2 (ორი) დღის ვადაში. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას

ტრიბუნალი უგზავნის მოპასუხეს გადაწყვეტილების მიღებიდან 12 (თორმეტი) დღის გასვლის შემდეგ.

3. ტრიბუნალი უფლებამოსილია შეცვალოს ან გააუქმოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნებისმიერ დროს მოპასუხის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 30. საარბიტრაჟო განხილვის დასრულება

1. საარბიტრაჟო განხილვა სრულდება საქმეზე დანიშნული ბოლო ზეპირი მოსმენის დასრულების ან წერილობითი წარდგინებისთვის განსაზღვრული ბოლო ვადის დასრულების შემდეგ, რომელიც უფრო გვიან იქნება.
2. საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შემდეგ დაუშვებელია მხარეების მიერ დამატებითი წარდგინებების ან მტკიცებულებების წარდგენა გარდა ტრიბუნალის გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო განხილვის განახლებისა.

თავი IV. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

მუხლი 31. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

1. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.
2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და უნდა მოიცავდეს:
 - ა) აღნიშვნას: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“
 - ბ) არბიტრ(ებ)ის ვინაობას, პირად ნომერს, და საკონტაქტო ინფორმაციას;
 - გ) მხარეების და მათი წარმომადგენლების ვინაობას და საკონტაქტო ინფორმაციას;
 - დ) პროცედურულ ისტორიას;
 - ე) მხარეების პოზიციების მიმოხილვას;
 - ვ) გადაწყვეტილების დასაბუთებას;
 - ზ) სარეზოლუციო ნაწილს;
 - თ) მითითებას გადაწყვეტილების გამოტანის თარიღსა და ადგილზე.
3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს (მოაწერონ) არბიტრმა (არბიტრებმა). საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი ტრიბუნალის მიერ განხილვისას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრების უმრავლესობამ. თუ არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან/და განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამომტანი არბიტრები, საარბიტრაჟო განხილვის მხარეები, გადაწყვეტილების გამომტანის თარიღი და ადგილი.
4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ორიგინალი უნდა გაეგზავნოს მხარეებს.

მუხლი 32. გამოსაყენებელი სამართალი

1. დავის არსის გადასაწყვეტად ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს მხარეების მიერ არჩეული სამართლის ნორმები.
2. დავის არსებით ნაწილზე მოქმედი სამართლის შესახებ მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის დროს გამოიყენება ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები.

3. გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ის სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც ასეთი (სადაო) ხელშეკრულების თუ ურთიერთობების მიმართ გამოიყენება.

მუხლი 33. მხარეთა მორიგება და საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის სხვა საფუძვლები

1. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მხარეები უფლებამოსილნი არიან დავა დაასრულონ მორიგებით. მორიგების პირობები წარედგინება ტრიბუნალს, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს მორიგება და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებზე. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მომზადება არ არის სავალდებულო.
2. ტრიბუნალი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ თუ:
 - 2.1. თუ მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი;
 - 2.2. თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე; ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ იქნა გადახდილი საარბიტრაჟო ხარჯები;
 - 2.3. თუ ტრიბუნალი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

მუხლი 34. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, მხარე უფლებამოსილია მიმართოს ტრიბუნალს და მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში დაშვებული გაანგარიშების, წერითი, ბეჭდური ან სხვა მსგავსი შეცდომების შესწორება, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ან მისი რომელიმე ნაწილის განმარტება. თუ ტრიბუნალი დაეთანხმება მხარის მოთხოვნას, ის ვალდებულია, მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში შეიტანოს ცვლილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ან გასცეს შესაბამისი განმარტება, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილია. არბიტრაჟი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გაასწოროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში დაშვებული გაანგარიშების, წერითი, ბეჭდური ან სხვა მსგავსი შეცდომები.
2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მხარე უფლებამოსილია მიმართოს ტრიბუნალს და მოითხოვოს დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით,

რომელიც დაყენებული იყო საარბიტრაჟო განხილვის დროს და არ იქნა გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. თუ ტრიბუნალი დაეთანხმება მხარის მოთხოვნას, ის ვალდებულია, მოთხოვნიდან 60 დღის ვადაში გამოიტანოს დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

თავი V. ხარჯები

მუხლი 35. საარბიტრაჟო ხარჯების განსაზღვრა

1. ტრიბუნალის ფორმირების შემდეგ, ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო ხარჯების წინასწარ განსაზღვრისა და იმ თანხების შესახებ, რაც მხარეებმა უნდა გაიღონ საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე (ავანსი).
2. არბიტრის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს გონივრულობის გათვალისწინებით არბიტრის დანიშვნის მომენტისთვის. თითოეული არბიტრის ანაზღაურება ცნობილი უნდა იყოს ყველა მხარისა და ტრიბუნალის დანარჩენი წევრებისთვის. არბიტრს უნდა აუნაზღაურდეს მგზავრობის და სხვა ხარჯები გონივრულობის ფარგლებში. თუკი რაიმე მიზეზით არბიტრის ანაზღაურების ოდენობა არბიტრის დანიშვნამდე წინასწარ არ იქნა შეთანხმებული ან გახდა სადაო, არბიტრის ანაზღაურებას განსაზღვრავს დამნიშნავი ორგანო. მხარეები ინდივიდუალურად და სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი არბიტრის (არბიტრების) ანაზღაურების გადახდაზე შეთანხმებული თუ დამნიშნავი ორგანოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.
3. ტრიბუნალი, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მხარის მიერ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (გარდა არბიტრის ანაზღაურებისა, რაც წინასწარ, დანიშვნამდე ან დანიშვნასთან ერთად უნდა შეთანხმდეს მხარეებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის განისაზღვრება დამნიშნავი ორგანოს მიერ) ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ. საარბიტრაჟო ხარჯების გადახდაზე მხარეები სოლიდარულად და ინდივიდუალურად არიან პასუხისმგებელნი.
4. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, ტრიბუნალმა, მხარეების წარდგინებების გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს საარბიტრაჟო ხარჯები, რაც მოიცავს მხარეების და ტრიბუნალის მიერ გაღებულ ხარჯებს და არბიტრთა ანაზღაურებას.
5. საარბიტრაჟო ხარჯების გადახდა მთლიანად ეკისრება წაგებულ მხარეს სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების პროპორციულად გარდა იმ შემთხვევისა თუ ტრიბუნალი საჭიროდ მიიჩნევს ხარჯების სხვაგვარად გადანაწილებას საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

დანართები

დანართი 1. დისტანციური წარმოების წესები

დანართი 2. სტანდარტული საარბიტრაჟო შეთანხმება (დანართი)

დანართი 3. ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“, როგორც დამნიშნავი ორგანოს მომსახურების ტარიფები